



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ალექსანდრიანი“

„ალექსანდრიანი“, ლიტერატურული ძეგლი. მისი პირველწყაროა ძვ. ბერძნული თხზ. ალექსანდრე მაკედონელის შესახებ (ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრეს რომანი“; ვარაუდით ძვ. წ. II – I სს.). რომანის კვალი ჩანს ჯერ კიდევ IX ს. II ნახ. ძეგლში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ქართულად თარგმნილი უნდა იყოს არა უგვიანეს XI ს. ამ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ციტატა „ალექსანდრეს რომანიდან“ გვხვდება ლეონტი მროველის ნაშრომში. XIV ს-ში სამხრ. ევროპაში შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა რომანის ახ., სერბ. რედაქცია, რ-ის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურებაა ალექსანდრესა და როქსანეს ტრაგიკული სიყვარულის თემა. XV ს-ში გაჩნდა სერბ. რედაქციის რუს. ვარიანტი, რ-იც მცირეოდენი ცვლილებებით 1700 – 13 პროზად თარგმნა არჩილ მეფემ. 1713–24 არჩილის თარგმანი გალექსა მდივან-მწიგნობარმა პეტრე ჩხატარაისძემ, მანვე ხელახლა პროზაულად გადაამუშავა „ა.“, სრულიად გადააკეთა ბოგიერთი ეპიზოდი, დაურთო ახ. თემატური დეტალები, გააღრმავა ანტიმუსლ. ტენდენცია, გააძლიერა ქრისტ. მოტივი, შედარებისათვის მიმართა „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“, „ვეფხისტყაოსნის“, „ლეილმაჯნუნიანის“, „იოსებბილიხანიანისა“ და სხვ. თხზ. გმირებს. „ა-ის“ სამივე ქართ. ვერსია დაცულია ხელნაწერების სახით; არჩილისა - საქართვე. ცენტრ. არქივში (№ 123), ხელნაწერთა ინ-ტში (H - 105) და სხვ.; პ. ჩხატარაისძისა, გალექსილი - ხელნაწერთა ინ-ტში (Q - 736), პროზაული - იქვე (H - 1204, S - 1514) და სხვ.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1940; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ფ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1991.

გ. მიქაძე
